ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____ 5 მაისი 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/153

„ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ" რექტორის 2014 წლის 30 აპრილის N02-02/149 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ" რექტორის 2014 წლის 30 აპრილის N02-02/149 ბრძანებაში და ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. 2013 - 2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

3.1. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის)** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე „ბიოტექნოლოგია" და „ეკოლოგია და გარემოს დაცვა" :

3.1.1. მსურველთა განცხადებების მიღება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხების მართვის სამსახურში - 2014 წლის პირველი - 5 მაისი;

3.1.2. კრედიტების აღიარება სკოლების (ფაკულტეტების) აღიარების კომისიის მიერ - 2014 წლის 6 - 7 მაისი;

3.1.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისთვის და სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 2014 წლის 7 მაისი;

3.1.4. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2014 წლის 8 მაისი;

3.2. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლის (ფაკულტეტის) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება":

3.2.1. მსურველთა განცხადებების მიღება საქმისწარმოების, ადამიანური რესურსებისა და საორგანიზაციო საკითხების მართვის სამსახურში - 2014 წლის პირველი - 5 მაისი;

3.2.2. კრედიტების აღიარება სკოლების (ფაკულტეტების) აღიარების კომისიის მიერ - 2014 წლის 13 - 14 მაისი;

3.2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისთვის და სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 2014 წლის 15 მაისი;

3.2.4. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 2014 წლის 16 მაისი;"

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

4. ბრძანების ასლი გაეგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე